


აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის
ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის
№42 საჯარო სკოლა



2022-2023 სასწ.წელი

2022-2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

ყოველწლიურად ჩვენი სკოლის მოსწავლეები ერთიან
ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო მაჩვენებლებს
ინარჩუნებს!



100%-იანი გრანტი-49 %

70 %-იანი გრანტი-23%

50%-იანი გრანტი-20%

საზღვარგარეთ ჩარიცხული მოსწავლეები-
8%

2022-2023 სასწავლო წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2022-2023 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის 25-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 13 -მა ოქროს, ხოლო 12 -მა მოსწავლემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

წარსაბუღალტრო კურსდამთავრებულნი!

ჩვენი სკოლის
2022-2023 სასწავლო წლის კურსდამთავრებულმა

აკაკი ძიდიგურმა

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შეფასებები მიიღო და
საქართველოს მასშტაბით წარმატებულ კურსდამთავრებულთა სამეულშია!!!

- ქართული-60/60
- ინგლისური-70/70
- მათემატიკა-51-50



წარმატებული კურსდამთავრებულები მათემატიკაში 51-დან 51! ქართულში 60-დან 60!



საბა დელიბაშვილი
მათემატიკა-51/51!

სანდრო
მამამთავრიშვილი
მათემატიკა-51/51!

გიორგი ურთმელიძე
მათემატიკა -51/51!

ირაკლი ზერეკიძე
მათემატიკა-51/51!

დეა მელიაშვილი
ქართული-60/60!

წარმატებული კურსდამთავრებულები ინგლისურში 70-დან 70!




ლუკა ბათილაშვილი:
ინგლისური - 70/70!

**სანფრო
მამამთავრიშვილი:**
ინგლისური- 70/70!

ირაკლი ზერეკიძე:
ინგლისური-70/70!

ელენე კალინიჩენკო:
ინგლისური-70/70!

წარმატებული კურსდამთავრებულები ინგლისურში 70-დან 70!



მარიამ მშვიდობაძე:

ინგლისური - 70/70!

ნიკოლოზ ლობჯანიძე:

ინგლისური- 70/70!

გურამ გვობაძე:

ინგლისური-70/70!

მათე ულუმბერაშვილი:

ინგლისური-70/70!

სანდრო სიჭინავა:

ინგლისური-70/70!

ჩვენი სკოლის წარმატებული მოსწავლეები და ახლა უკვე კურსდამთავრებულები ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებში! ნენე ჟვანია ჰარვარდში!

ჩვენი სკოლის კიდევ ერთი წარმატებული კურსდამთავრებული ნენე ჟვანია ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მან ჯამში მოიპოვა \$340 000-ის დაფინანსება.

ნენეს სკოლაში სწავლის პერიოდში მოპოვებული აქვს ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირის ოქროს და ბრინჯაოს მედლები და ასევე ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირის ვერცხლის მედალი.

ნენე ჟვანიას ჰარვარდის უნივერსიტეტის გარდა დადებითი პასუხი კორნელის, ვილიამსის და პენსილვანიის უნივერსიტეტებიდან მოუვიდა.



წარმატებული კურსდამთავრებული! ლიზი დარჩია სწავლას ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს!

ჩვენი სკოლის წარმატებული
კურსდამთავრებული ლიზი დარჩია მსოფლიოს
ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის-

MIT (Masachusetts Institute of Technology) სტუდენტი
გახდა! ლიზიმ სრული დაფინანსება 340000 დოლარი
მოიპოვა და სექტემბრიდან ბიომედიცინის
ფაკულტეტზე გააგრძელებს სწავლას!



წარმატებული კურსდათავრებული!

ლევან ლოლაშვილი სწავლას ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს!

ჩვენი სკოლის წარმატებულმა კურსდამთავრებულმა ფიზიკის საოლიმპიადო წრისა და ასევე ახალგაზრდა ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელმა-ლევან ლოლაშვილმა მოიპოვა 100%-იანი გრანტი 340000 USD ოდენობით და ის სწავლას ნიუ-იორკის უნივერსიტეტის აბუ-დაბის ფილიალში გააგრძელებს!



ჩვენი სკოლის წარმატებული
კურსდამთავრებულები ევროპისა და აშშ-ის წამყვან
უნივერსიტეტებში სრული დაფინანსებით სამაგისტრო და
სადოქტორო პროგრამებზე

სალომე ღვინევაძე:

ამერიკის როჩესტერის უნივერსიტეტში
(University of Rochester)

სადოქტორო პროგრამაზე ჩააბარა სრული \$500000-იანი
დაფინანსებით.

სპეციალობა ტრანსლაციურ ბიოსამედიცინო მეცნიერებები.



ლუკა ხიზანიშვილი:

სწავლას აშშ-ში გააგრძელებს.

ლუკა სამაგისტრო-სადოქტორო პროგრამაზე სრული
დაფინანსებით ბინჰემტონის უნივერსიტეტში (Binghamton
University) მიიღო.



წარმატებული
კურსდამთავრებული
ანა მარია ჩხაიძე

ვეკუას სკოლის წარმატებული
კურსდამთავრებული ანამარია
მადრიდის ოფისში Amazon
Business-ის გუნდს შეუერთდა
Software Development Engineer-
ის პოზიციაზე.




წარმატებული კურსდამთავრებულები დემეტრე ურიდია და
ირაკლი შალიბაშვილი GOOGLE-ის ლონდონის ოფისში
დასაქმდნენ



წარმატებული კურსდამთავრებულები

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა თორნიკე ლუტიშვილმა ნიუ-იორკში, Citi-ში დაიწყო მუშაობა რაოდენობრივი ანალიტიკოსის პოზიციაზე თორნიკეს საქმიანობის ძირითადი ნაწილი ფინანსური ინსტრუმენტების მათემატიკურ მოდელირებას და ანალიზს მოიცავს.



წარმატებული კურსდამთავრებული

ჩვენი სკოლის წარმატებულმა კურსდამთავრებულმა მიქაელ გაგოშიძემ, კემბრიჯის ყველაზე პრესტიჟულ ტექნოლოგიურ კომპანიაში Qualcomm- ში დაიწყო მუშაობა.

ამ ეტაპზე, მიქაელი კონკრეტულად უსადენო ყურსასმენების მიკროჩიპებზე მუშაობს. მას აქამდე მისასვლელად საკმაოდ დიდი გზის გავლა მოუწია.

მისი ისტორია შეიძლება ბევრი ახალგაზრდა მეცნიერისთვის და ინჟინერისთვის შთაგონების წყარო გახდეს.



წარმატებული კურსდამთავრებული

- ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა გურამ ქართველიშვილმა
- ნიუ-იორკში, საინვესტიციო ფონდში Millennium Management-ში დაიწყო მუშაობა რაოდენობრივი მკვლევარის პოზიციაზე. Millennium Management დაფუძნდა 1989 წელს ნიუ-იორკში და 58 მილიარდი აშშ დოლარის აქტივებს მართავს.

გურამის საქმიანობის ძირითადი ნაწილი ფინანსური ინსტრუმენტების მათემატიკურ მოდელირებას და შემდგომ იმპლემენტაციას მოიცავს. მსგავსი მოდელები აქტიურად გამოიყენება საფონდო ბირჟაზე დერივატივების ფასისა და არსებულ

- რისკების შესაფასებლად.



ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესეებში უკვე ლექტორებად!

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა **საბა ხარაბაძემ, გუგა ხუნძაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ** Purdue University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობასაც ექნებათ. ამერიკული მხარე ახალგაზრდებს უნივერსიტეტში Teaching Assistant-ებად დაასაქმებს.



მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ახალგაზრდა ნატურალისტთა XI საერთაშორისო ტურნირი
ყაზახეთის ქალაქ ალმატიში!

საქართველოს მოსწავლეთა ეროვნულმა

ნაკრებმა ოქროს მედლები მოიპოვა!

ექვსი ოქრო და ექვსივე ვეკუას სკოლის მოსწავლე!

ოქროსმედალოსანი გუნდის შემადგენლობაში არიან:
ლუკა ჩახნაშვილი (გუნდის კაპიტანი), ნიკა ბურდული,
სესილია ხუხუა, ალექსანდრე გვარამია,
ანასტასია დეკანოსიძე და ანი მამუჩარაშვილი



მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადაებსა და ტურნირებში

ჟაუტიკოვის მე-19 საერთაშორისო ოლიმპიადა
მათემატიკაში, ფიზიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში!

2023 წლის 2 და 3 თებერვალს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა ჟაუტიკოვის
სახელობის მე-19 საერთაშორისო ონლაინ ოლიმპიადა მათემატიკაში,
ფიზიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში!

წელს ოლიმპიადაში 21 ქვეყანა მონაწილეობდა.

ქეთევან პერანიძემ ფიზიკაში ვერცხლის მედალი მოიპოვა

მათემატიკაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს :

სანდრო მამამთავრიშვილმა -XII-კლასი

და ლუკა წიწილაშვილმა -XI-კლასი


მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ირანის საერთაშორისო გეომეტრიის ოლიმპიადა!

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა -მათემატიკის
ქალაქ თბილისის # 42 საჯაროსკოლის IX კლასის მოსწავლეებმა:

ალექსანდრე გვარამიამ და რატი რატიანმა

ირანის საერთაშორისო გეომეტრიის
ოლიმპიადაზე **ბრინჯაოს** მედლები მოიპოვეს!



მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ავსტრიის ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირი!

2023 წლის 15 აპრილს, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლის გუნდმა ავსტრიის ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირში ვერცხლის მედლები მოიპოვა! გუნდის წევრები იყვნენ: დეა ნოზაძე, ლუკა ბურდული და მარიამ ლომინაშვილი.



საერთაშორისო ოლიმპიადები და ტურნირები

აბუ-რეიჰან ბერუნის სახელობის ქიმიის საერთაშორისო
ოლიმპიადა!

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისი # 42
საჯარო სკოლის მოსწავლეები: თემიკო მაჭავარიანი, არჩილ წიკლაური,
ალექსანდრე გვარამია და ცოტნე გერგაია საქართველოს ნაკრების სახელით
უზბეკეთის ქალაქ ხივამი გამართულ ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადაში
მონაწილეობდნენ!



მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ვეკუას სკოლის გუნდი NASA-ში

ალექსანდრე ქართველის მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ რობოტების შეჯიბრში ვეკუას სკოლის გუნდმა გაიმარჯვა . გამარჯვებულ გუნდს შეჯიბრის სპონსორებმა NASA-ს ლაბორატორიაში ექსკურსია უსახსოვრეს! გუნდის წევრებმა თავიანთ მენტორთან-ნათია ჯანდაგაშვილთან ერთად მოიარეს NASA, გაიცნეს იქ მომუშავე ინჟინრები, შეიგრძნეს „სამყაროს ცენტრი“.



ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

STEM-ის ეროვნული შეჯიბრის ფინალი საქართველოს უნივერსიტეტში

პროექტში ჩართული იყო **STEM-ის** ყველა სფერო :
მეცნიერება, ინჟინერია, ტექნოლოგია და მათემატიკა;
შეჯიბრი ორგანიზებული იყო
აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის
ფიზიკა მათემატიკის
ქალაქ თბილისის #42 სკოლის,
საქართველოს უნივერსიტეტის და
ალექსანდრე ქართველის ასოციაციის მიერ;
შეჯიბრში ჩართული იყო საქართველოს
თითქმის ყველა რეგიონის სკოლების 24 გუნდი.
ფინალში გასულ ხუთ საუკეთესო გუნდს შორის
პირველი და მეორე ადგილები ვეკუას სკოლის
მოსწავლეებმა მოიპოვეს!



ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

სკოლაში ოლეგ კვეტენაძის სახელობის შიდა სასკოლო ჩემპიონატი
ჩატარდა

ჩვენი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ოლეგ კვეტენაძის ხსოვნის
უკვდასაყოფად სკოლაში ჩატარდა მათემატიკის შიდა სასკოლო ოლიმპიადა.
გამარჯვებულ მოსწავლეებს სერტიფიკატები და ფულადი პრიზები გადაეცათ!



ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

ჩვენი სკოლის მოსწავლეების წარმატება ქიმიის რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე!

ოლიმპიადა ტარდება საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის ორგანიზებით და აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების მხარდაჭერით.

2023 წლის 28 მაისს, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ჩვენმა მოსწავლეებმა საპრიზო ადგილები გაინაწილეს!



ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებითა სკოლაში ჩატარდა „რა, სად, როდის“ STEM მიმართულებით.

პროექტის პარტნიორია გახლდათ კომპანია [Skillwill • სქილვილ](#).

კონკურსში მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის 30-მა გუნდმა.

I ადგილი დაიკავა გუნდმა შემადგენლობით:

კონსტანტინე დავითაშვილი, აჩი წიკლაური და ლუკა თასოშვილი.

გამარჯვებულ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მალაზიათა სასაჩუქრე ვაუჩერები.



ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიპიადები

ჩვენი სკოლის ორმა მოსწავლემ ბექა ქართველიშვილმა და კონსტანტინე დავითაშვილმა კონკურსში-“ედისონის ლიგა“ პირველი ადგილი მოიპოვეს!

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება კონკურსი იმ აბიტურიენტებისთვის ვისაც აინტერესებთ ინჟინერია, რობოტიკა, კომპიუტერული რობოტიკა. ბექა ქართველიშვილი და კონსტანტინე დავითაშვილი პირველ ადგილზე გავიდნენ და საბაკალავრო პროგრამებზე 15000 ლარიანი გრანტები მოიპოვეს!



ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიპიადები

ჩვენი სკოლის მოსწავლეები კიბერუსაფრთხოების ლიგის გამარჯვებულები არიან!

კავკასიის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ცენტრისა და სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციის ორგანიზებით, საქართველოს სკოლების მონაწილეობით ჩატარდა კიბერუსაფრთხოების ლიგა, რომლის ფარგლებშიც გაიმართა ყოველწლიური გუნდური ჩემპიონატი X-XII კლასის მოსწავლეებს შორის.

კონკურსში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა: ალექსი ნასყიდაშვილმა , ნიკოლოზ ნასყიდაშვილმა და საბა რუხაძემ პირველი ადგილები მოიპოვეს!



პროექტი -“ჩემი პირველი კომპიუტერი“

- ჩვენი სკოლის სამ მოსწავლეს:
- თემიკო მაჭავარიანს,
- ნინო იმერლიშვილს,
- მარიამ ჭალიაშვილს

პროექტის-“ ჩემი პირველი კომპიუტერი“
ლექტორები გადაეცათ!

მოსწავლეებმა საბაზო საფეხური წარჩინებით
დაამთავრეს და მათი საფეხური ნიშანი
გახლდათ „10“ ქულა!



წარმატებული კურსდამთავრებული

ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული

დავით შატაკიშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა

სამინისტროს პროექტის ფარგლებში ერთწლიანი

მანდატით დაინიშნა ჩვენი ქვეყნის

„ახალგაზრდა ელჩად“

ამერიკის შეერთებულ შტატებში!



სატელევიზიო პროექტი წიგნების თარო

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათეატიკის ქალაქ
თბილისის # 42 საჯარო სკოლა

სატელევიზიო პროექტის -“წიგნების თაროს“

13 სასკოლო სეზონის განმავლობაში რეიტინგით პირველ ადგილზეა!



ეროვნული და შიდა სასკოლო ჩემპიონატები

ჩვენი სკოლის მერვე კლასის მოსწავლე თენგიზ თოიძე
15 წლამდე მოზარდებს შორის ჭადრაკში საქართველოს ვიცე
ჩემპიონი გახდა !



სპორტული აქტივობები

ჩვენი სკოლის
გუნდმა ფრენბურთში მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ
ორგანიზებულ ტურნირში
"მთაწმინდის თასი " II ადგილი მოიპოვა




ყოველწლიური სასკოლო კონფერენცია

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლაში, დაარსების დღიდან სხვადასხვა ფორმით აღინიშნება დიდი მეცნიერის, ილია ვეკუას დაბადების დღე. 2019 წლიდან ამ პროცესს ფორმალური სახე მიეცა და საფუძველი ჩაეყარა „ყოველწლიურ სასკოლო კონფერენციას“. მოსწავლეების მიერ მომზადებული საკონფერენციო თემები არის მრავალფეროვანი და საინტერესო, როგორც ტექნიკური, ასევე ჰუმანიტარული მიმართულებით!




დამსახურებული მასწავლებლის სტატუსი

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N 42 საჯარო სკოლის პედაგოგს ბატონ ნუგზარ მოლაშვილს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა!



ჩვენი სკოლის მოსწავლეების ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შეიქმნა უნიკალური, ონლაინ სასკოლო ჟურნალისტიკის მოდელი “ვეკუა TV”

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოირგეს ჟურნალისტების ამპლუა და სხვადასხვა რუბრიკების ფარგლებში, საინტერესო სიუჟეტებს გვთავაზობენ.



ისინი ყოველკვირულად აშუქებენ საინტერესო რუბრიკებს, ამაზალებენ სიუჟეტებს სხვადასხვა მიმართულებით, აწყობენ ონლაინ ვიქტორინებს სამეცნიერო თემებზე, იღებენ ინტერვიუებს პედაგოგებისგან. დაინტერესებულ მაყურებელს ყველა გადაცემის ნახვა შეუძლია Youtube არხზე.



მოსწავლეთა თვითმმართველობის კვირეული

პროექტის მიზანი:

მოსწავლეთა თვითმმართველობის პროგრამისა და სამომავლო გეგმების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება და რეკომენდაციების მიღება.

- დაიგეგმა და განხორციელდა მოსწავლეთა თვითმმართველობის კვირეული;
- კვირეულზე წარმოდგენილი იყო კლასის თვითმმართველობის პროგრამები;
- რჩევების ყუთის საშუალებით შეგროვდა რეკომენდაციები.



გამარჯვებული პროექტი

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, მცირე საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი "ვეკუა TV -მეოთხე ხელისუფლება" გამოცდილების გაზიარება

- USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის - „სასკოლო ტელევიზია მეოთხე ხელისუფლება“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
- შეხვედრას ესწრებოდნენ: რუსთავის მე-15, რუსთავის მე-11, თბილისის 173-ე, 167-ე და ვაზიანის მე-2 საჯარო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები.
- დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: • სასკოლო ტელევიზიის როლი, დემოკრატიული სკოლის განვითარებაში • პრაქტიკული სავარჯიშოები-გადაღება, მონტაჟი და სხვა ტექნიკური სამუშაოები; • მუშაობა ჯგუფებში სიუჟეტების მომზადებისათვის.



ვეკუა TV-ის თანამშრომლების ვიზიტი ტელევიზიებში

- USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, მცირე საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი "ვეკუა TV -მეოთხე ხელისუფლება"
- პროექტის ფარგლებში
- განხორციელდა ვიზიტები, კავკასიის უნივერსიტეტის მედია ცენტრსა და ტელეკომპანია "ფორმულა" ში, სადაც მოსწავლეებმა ტელევიზიის მუშაობის რეალური გარემო დაათვალიერეს, ნახეს პირდაპირი ეთერის მუშაობის პრინციპი, გაესაუბრნენ ტელევიზიის ტექნიკურ ჯგუფს.
- კავკასიის უნივერსიტეტის მედიაცენტრი სსტუდენტებმა მოსწავლეებს ჩაუტარეს ტრენინგი და მასტერკლასი.



სამოქალაქო განათლების კლუბის "IN POSTERUM • მომავლისთვის" ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი პროექტი

- USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი დასკვნითი ღონისძიება.
- პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა წარმოადგინეს ადამიანის უფლებების დეკლარაციის მუხლების იხედვით შექმნილი ნამუშევრები-პოსტერის, ვიდეოსა და მინი სპექტაკლის სახით. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით და სიმბოლური საჩუქრებით!




ჩვენი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის გამოცდილების გაზიარება თბილისის სკოლებისთვის!

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში შუალედური შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა თბილისის სკოლებისთვის.

შეხვედრა სასტუმრო დიდუბე პლაზაში შედგა.

ღონისძიებას ესწრებოდა პროგრამაში ჩართული თბილისის სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეები, სამოქალაქო განათლების კლუბის წარმომადგენლები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები.



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლა USAID-ის პროგრამის ტექნიკის კონკურსის გამარჯვებულია

ჩვენმა სკოლამ USAID - ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ტექნიკის კონკურსში გაიმარჯვა.

სკოლა როგორც გამარჯვებული, ჩაერთო ლიდერი სკოლების ფორუმში და გამოცდილება გაუზიარა სხვა სკოლებს მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის და სკოლის დემოკრატიულ მართვის საკითხებში მისი და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მონაწილეობის შესახებ.



ფინანსური განათლების ხელშეწყობა, ვიზიტი ეროვნულ ბანკში

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ
თბილისის # 42 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეროვნული ბანკის საკასო
ცენტრმა უმასპინძლა.

მოსწავლეებმა დაათვალიერეს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი, გაეცნენ
მის ძირითად ფუნქციებს. შეხვდნენ ქვეყნის მთავარ ბანკირს.

კობა გვბენეტაძემ მოსწავლეებს ინტერაქციული
გაკვეთილი ჩაუტარა და სამახსოვრო
საჩუქრები გადასცა.



საპარლამენტო თავგადასავალი 2023

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტში გაიმართა ღონისძიება

„ჩემი საპარლამენტო თავგადასავალი 2023“

ღონისძიება ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ, როგორც საპილოტე პროექტის „ჩემი პარლამენტის“ აქტიური მონაწილეები.

საკანონმდებლო ორგანოში მოსწავლეებისთვის შემეცნებით-გასართობი აქტივობები გაიმართა.

შეხვედრის დასასრულს სკოლას გადაეცა

მადლობის სიგელი დამხმარე სახელმძღვანელოს

„ რა ვიცით პარლამენტის შესახებ“

აქტიური სწავლებისთვის!



ჩვენი მოსწავლეები თამაშების დეველოპმენტის სემინარზე

2023 წლის 22-23 აპრილს საქართველოს უნივერსიტეტისა და აკადემია 77-ის ორგანიზებით ჩვენი სკოლის ოთხ მოსწავლეს სრულიად დაუფინანსდათ თამაშების დეველოპმენტის 2 დღიანი სამუშაო შეხვედრა სასტუმროში **GORI INN**. მოსწავლეები სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეირჩნენ. შეხვედრის ფარგლებში XI-XII კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდათ თამაშების დეველოპმენტის სემინარი . შეხვედრას უძღვებოდა თამაშების უფროსი დეველოპერი - გიორგი აბელაშვილი. სემინარის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტის IT სკოლის სახელით მოსწავლეებს გადაეცათ ბრენდირებული საჩუქრები, ასევე თითოეული მათგანი თამაში Drift King-ითაც დასაჩუქრდა.



სამოქალაქო განათლების კლუბის „IN POSTERUM მომავლისთვის „- პროექტი „დედამიწის დღე ვეკუაში“

დედამიწის დღესთან დაკავშირებით სკოლაში შეგროვდა ნივნები, რომლებიც მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლების კლუბის

„ IN POSTERUM მომავლისთვის „ ორგანიზებით სკოლის ეზოში გამართულ გამოფენაზე გაცვალეს. პროექტის მიზანი გახლდათ რესურსების გონივრულად გამოყენება და დედამიწის გაფრთხილებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება.




ბოლო ზარი ვეკუაში

უკვე მეორე წელია განსაკუთრებული ბოლო ზარი აქვთ ჩვენს კურსდამთავრებულებს. ისინი მანტიებით არიან შემოსილნი და საზეიმო ღონისძიებას „ქულების აყრის“ ცერემონიით ასრულებენ!



ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ სტატია სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ " საქართველოს ბიბლიოთეკაში" გამოქვეყნდა




სკოლის ბიბლიოთეკა

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციასთან და შეიქმნა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი “**Openbiblio**”.

საბიბლიოთეკო პროგრამა **Openbiblio** განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია ნიიიი-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლას ყოველწლიურად სხვადასხვა უნივერსიტეტი სტუმრობენ

- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი
- საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი (GIPA)
- კავკასიის უნივერსიტეტი



სტანდარტზედა სერვისები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- ლოგიკა
- პროგრამირება
- ელ. კვანძები
- ფსიქოლოგია
- კრიტიკული აზროვნება
- დიზაინის საფუძვლები
- ბულალტერია
- ლიტმცოდნეობა
- მსოფლიო ლიტერატურა - ანტიკურიდან დღემდე
- სივრცული მოდელირება

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-
მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლა

გმადლობთ ყურადღებისთვის!

2023წ.